ქმედებების გეგმა უბედური შემთხვევის დროს

დარეკეთ ქვეყნის შესაბამის ნომერზე (112; 911 .....)

1 გარემოს უსაფრთხოების შეფასება

დარწმუნდით, რომ საფრთხე არ გემუქრებათ თქვენ, სხვა პირებსა და დაშავებულს

2 ცნობიერება

დაშავებულის ცნობიერების სტატუსის შეფასება: ფრთხილად შეანჯღრიეთ დაშავებული მხრების არეში და ხმამაღლა ჰკითხეთ „როგორ ხარ?“

თუ დაშავებული **ცნობიერია:**

1. გამოიძახეთ დახმარება;
2. მოათავსეთ დაშავებული უსაფრთხო პოზიციაში;
3. შეამოწმეთ დაშავებულის სხეული ჭრილობების თაობაზე;
4. გააკონტროლეთ ცნობიერების სტატუსი

თუ დაშავებული **უგონო მდგომარეობაშია**, გამოიძახეთ დახმარება:

3 დახმარების გამოძახება

დარეკეთ **შესაბამის ნომერზე** ან თხოვეთ სხვა პირს ზარის განხორციელება და სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

1. შეატყობინეთ თქვენი ადგილმდებარეობა
2. მოკლედ აღწერეთ საგანგებო მდგომარეობის საგანი
3. მოახსენეთ დაშავებულ პირთა რაოდენობა

! მისამართი თუ ხმელეთზე ხართ / ადგილი თუ გემზე ხართ

4 სასუნთქი გზები

დაშავებულის თავის უკან გადაწევით და ნიკაპის წინ წამოწევით გახსენით პირის ღრუ და შეამოწმეთ ზედა სასუნთქი გზები.

უცხო სხეულის აღმოჩენის შემთხვევაში:

1. მოათავსეთ დაშავებული უსაფრთხო პოზიციაში
2. გამოუწმინდეთ პირის ღრუ თითებით და გაათავისუფლეთ ზედა სასუნთქი გზები უცხო სხეულისაგან
3. გააკონტროლეთ და მართეთ ენის პოზიცია

5 სუნთქვა

სუნთქვის შემოწმება: დააკვირდი, მოუსმინე, შეიგრძენი. მინ. 5 - მაქს.10 წამის განმავლობაში დააკვირდით დაშავებულის გულ-მკერდის მოძრაობას. **იმ შემთხვევაში თუ დაშავებულის სუნთქვის უნარი ნორმის ფარგლებშია (12-24/წთ.):**

1. მოათავსეთ დაშავებული უსაფრთხო პოზიციაში
2. შეამოწმეთ და მართეთ სხვა დაზიანებები/ჭრილობები
3. ეცადეთ დაშავებულის გამოყვანა შოკური მდგომარეობიდან

იმ შემთხვევაში თუ დაშავებულის სუნთქვის უნარი არ ფიქსირდება ან დაქვეითებულია დაუყოვნებლივ დაიწყეთ გფრ (გულ-ფილტვთა რეანიმაცია)

6 გფრ (გულფილტვთა რეანიმაცია)

დაიწყეთ გფრ (გულ-ფილტვთა რეანიმაცია): გულმკერდის **30 კომპრესია/20 წამში** და შემდეგ **2 ჩაბერვა/5 წამში** ხელოვნური სუნთქვით.

გააგრძელეთ **გფრ** შესრულება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე ან დაშავებულის მდგომარეობის გაუმჯობესებამდე (ცნობიერების, სუნთქვის და გულის მუშაობის აღდგენამდე).

7 დეფიბრილაცია

გამოიყენეთ დეფიბრილატორი **(EAD)** (არსებობის შემთხვევაში) და მიჰყევით ხმოვან რეკომენდაციებს.

! **დეფიბრილატორის ადგილმდებარეობას იპოვით საევაკუაციო გეგმის სქემაზე.**